

29.09



შოთა მესხიას სახელმწიფო სასწავლო
უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო

შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

საქართველოს სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

შესავალი

სსიპ შოთა მესხიას სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ქმნის და ინარჩუნებს პერსონალის, სტუდენტთა და პროფესულ სტუდენტთა, ასევე ნებისმორი სტუმრისთვის და დამხმარე პერსონალისთვის შესაბამის უსაფრთხო სამუშაო გარემოს.

შესაბამისი სამუშაო გარემო წარმოადგენს მნიშვნელოვან წინაპირობას, როგორც მომსახურების მიწოდების უზრუნველსაყოფად, აგრეთვე პერსონალის მოტივაციისთვის, ამიტომ, სასწავლო უნივერსიტეტში სამუშაო გარემო მუდმივად მოწმდება შრომის უსაფრთხოების საშუალოების მიერ. სამუშაო პირობებში გათვალისწინებულია ჰაერის საჭირო ტემპერატურის, დამტვერიაჩების, განათების, ვენტილაციის, ხმაურის დონე და სხვ. აგრეთვე, შრომის უსაფრთხოების მხრივ თანამშრომელთა პოტენციური რისკის ფაქტორები, სპეციფიკური სამუშაოები, სოციალური პირობები, სანიტარულ-ჰიგიენური და ერგონომიკის მოთხოვნები.

მუხლი 1. შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის მიზნები

სასწავლო უნივერსიტეტის შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითადი მიზანია, სამუშაო ადგილებზე დასაქმებულთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობად უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნა, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს შრომის უსაფრთხოების სისტემის მოწყობის საქმიანობის სხვა მიზნებთან გათანაბრებასა და თავსებადობას. ამასთან, დასახული მიზნების შესაბამისად, იღებს ვალდებულებას დააწესოს მკაცრი კონტროლი შრომის უსაფრთხოების საკანონმდებლო მოთხოვნების ზუსტ და გეროვან შესრულებაზე; შრომის უსაფრთხოების მოთხოვნები მოიცავს უნივერსიტეტში მოქმედ წესებს და პროცედურებს, რომელიც უზრუნველყოფს სამუშაო პროცესში დასაქმებულთა და სხვა პირთა სიცოცხლის და ჯანმრთელობის შენარჩუნებას.

შრომის უსაფრთხოებაზე მოთხოვნების დაცვა ორგანიზაციის ტერიტორიაზე სავალდებულოა, როგორც დასაქმებულთათვის, ასევე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შემსრულებლებისთვის.

მუხლი 2. ორგანიზაციაში შრომის უსაფრთხოების სიტემის მართვა

სასწავლო უნივერსიტეტი იღებს პასუხისმგებლობას შრომის უსაფრთხოების დაცვის მარეგულირებელი ნორმების შესრულების მიზნით აწარმოოს შრომის უსაფრთხოების სისტემის მართვა. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ვალდებულია მუდმივ რეჟიმში განახორციელოს პრევენციული ღონისძიებები. შრომის უსაფრთხოების სიტემის მთავარ ელემენტებად განიხილავს პოლიტიკას, ორგანიზებას, დაგეგმვას, დანერგვას, შეფასებასა და სრულყოფის



ლონისძიებებს. ამასთან, შრომის უსაფრთხოების სისტემა აგებულია შემდეგ მოდელზე (იხ. ცხრილი)

PDCA	ქმედება
დაგეგმე PLAN	განსაზღვრე პოლიტიკა/დაგეგმე მისი დანერგვა
გაკეთე DO	გაანალიზე რისკები/მოახდინე შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზება/განახორციელე გეგმა
შეამოწმე CHECK	გაზომე შესრულების ხარისხი (აწარმოე დაკვირვება შემთხვევების არ არსებობისას, გამოიძიე შემთხვევები)
იმოქმედე ACT	განიხილე შესრულების ხარისხი/იმოქმედე გამოტანილი დასკვნების გათვალისწინებით

სასწავლო უნივერსიტეტის შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის სისტემა მოიცავს სამ ძირითად ელემენტს:

1. დასაქმებულთა და სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა ჯანმრთელობა;
2. დასაქმებულთა და სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა შრომის უსაფრთხოება;
3. საყოფაცხოვრებო პირობები.

დასაქმებულთა ჯანმრთელობა შეიძლება მიჩნეულ იქნეს დაავადებისა ან ავადმყოფობის არარსებობად. ჯანმრთელობა უკავშირდება როგორც სხეულს, ისე გონებას და მოიცავს ფიზიკურ (როგორც არის სიმსივნე) და ფსიქიკურ (როგორც არის სტრესი) ავადმყოფობას. დასაქმებულთა უსაფრთხოება ეს არის საბუთაო ადგილის მდგომარეობა, რომელიც არ წარმოქმნის სხეულის დაზიანების რისკს. მაგალითად, მოძრავი მანქანის უკან სიარული უსაფრთხო არ არის, დაჯახების შემთხვევაში ის გამოიწვევს ტრავმას ან

საქართველოს
საგარეო
აღმოსავლეთის
მდიდრობის
სამსახური

სიკვდილს. საყოფაცხოვრებო პირობები გულისხმობს საბაზისო საყოფაცხოვრებო საშუალებებით უზრუნველყოფას, ეს საშუალებები მოიცავენ სასმელ წყალს, მოსასჯენებელ ადგილებს, სანიტარულ-ჰიგიენურ ფართებს და სხვა.

სასწავლო უნივერსიტეტმა დაწერა შრომის უსაფრთხოების სისტემა შემდეგი მიზეზების გამო:

- მორალური მიზეზი - ადამიანებისთვის მორალურად მიუღებელია სამუშაოზე ყოფნის დროს ტრავმის მიღება. მომხდარი ფატალური უბედური შემთხვევები, ტრავმები თუ პროფესიული დაავადებები და მათი შედეგები წარმოადგენენ დასაქმებულთა ფსიქოლოგიური მდგომარეობის, საქმის პროდუქტიულად შესრულების ნაკლებობის მიზეზს.
- ქვეყანაში არსებული საკანონმდებლო მოთხოვნები - შრომის უსაფრთხოების მიმართულებით ქვეყანაში არსებული რეგულაციები წარმოადგენს უნივერსიტეტის საქმიანობის ძირითად მარეგულირებელ ნორმებს და მუდმივად უზრუნველყოფს დაკისრებული ვალდებულებების შესრულებასა და პასუხისმგებლობები.
- არაფინანსური ხარჯები - გააზრებული აქვს მორალური პასუხისმგებლობა, რომ შრომის უსაფრთხოების წესების დაუცველობამ შეიძლება გამოიწვიოს პარტნიორებთან საქმიანი რეპუტაციის შელახვა და ზიანი მიადგეს საწარმოს საქმიანობას. შესაბამისად კორპორატიული პასუხისმგებლობის პრინციპზე დაყრდნობით შეიქმნა წინამდებარე შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი.

მუხლი 3. დასაქმებულის ვალდებულება

სასწავლო უნივერსიტეტი ვალდებულებას იღებს:

- ა) დაიცვას შრომის უსაფრთხოების სფეროში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სამართლებრივი მარეგულირებელი ნორმები და წესები;
- ბ) იზრუნოს, დასაქმებულისა და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირის უსაფრთხოებაზე, რომ ჯანმრთელობას ზიანი არ მიადგეს;
- გ) უზრუნველყოს, რომ ფიზიკურმა, ქიმიურმა და ბიოლოგიურმა საფრთხის შემცველმა ფაქტორებმა დასაქმებულისა და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირის ჯანმრთელობას საშიშროება არ შეუქმნას;
- დ) აღრიცხოს სამუშაო სივრცეში უბედური შემთხვევები, პროფესიული დაავადებების შემთხვევები და საშიში შემთხვევები და მოთხოვნის შემთხვევაში შესაბამისი ინფორმაცია მიაწოდოს დასაქმებულს ან/და დასაქმებულთა წარმომადგენელს;

მუხლი 4. საფრთხის იდენტიფიცირება, რისკების შეფასება და კონტროლის ღონისძიებების განსაზღვრა

სასწავლო უნივერსიტეტი აცნობიერებს თავის წილ მაღალ პასუხისმგებლობას, რომ სამუშაო ადგილებზე და სასწავლო პროცესებში მუდმივ რეჟიმში წარმოიქმნება საფრთხეები და მათი საკონტროლო ღონისძიებები სწორედ მმართველობითი გუნდის მთავარი გამოწვევაა. მუდმივ რეჟიმში წარმოებს შრომის უსაფრთხოების დაცვის შესაბამისობის ანალიზი და ხდება მათი დოკუმენტირება. არსებული გამოწვევების გათვალისწინებით გამოიყენება რისკის მართვის ეტაპები.

რისკის მართვის ძირითადი ეტაპები:

რისკების შეფასება:

1. საფრთხის იდენტიფიცირება;
2. რისკების შეფასება;
3. რისკის დონის განსაზღვრა;
4. მონაცემების დოკუმენტირება;
5. გადახედვა.

რისკების კონტროლი:

1. საფრთხის აღმოფხვრა;
2. საფრთხის შემცირება;
3. ადამიანების საფრთხესთან პრევენცია
4. შრომის უსაფრთხო სისტემა;
5. ინდივიდუალური დაცვის საშუალებები.

მუხლი 5. სხვა პირები სამუშაო ადგილზე

(პირი, რომელიც დამსაქმებლის ნებართვით ან სხვა ხელშეკრულების საფუძველზე ასრულებს სამუშაოს ან ახორციელებს საქმიანობას, აგრეთვე მიმწოდებელი, ვიზიტორი, საწარმოო/სამუშაო პრაქტიკის განმახორციელებელი პირი და სხვა.)

სხვა პირები, რომლებიც სასწავლო უნივერსიტეტის ტერიტორიაზე იმყოფებიან, საფრთხის შეცველი პროცესებისგან უნდა იყვნენ იზოლირებულად, უნივერსიტეტის ტერიტორიაზე გარეშე პირები უმეთვალყურეოდ არ დაიშვებიან, ასევე, აკრძალულია სხვა პირების ობიექტზე გადაადგილება (თანმხლებლის/დამსაქმებლის/დასაქმებულის) გარეშე.

შენიშვნა¹

მუხლი 6. ინდივიდუალური და კოლექტიური დაცვის საშუალებები

სასწავლო დაწესებულების ტერიტორიაზე მყოფ პირთა გარკვეულ ნაწილს, უშუალოდ სამუშაოს შესრულების პროცესში, ვალდებულია თან იქონიოს და გამოიყენოს ინდივიდუალური დაცვის საშუალებები, რომელიც სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე განსაზღვრულია უსაფრთხოების ინსტრუქტაჟით.

მუხლი 7. ტერიტორიაზე გადაადგილება

ტერიტორიაზე ქვეითად მოსიარულეთა გადაადგილება ხორციელდება უსაფრთხოების წესების დაცვის შესაბამისად.

მუხლი 8. საშიში საწარმოო ფაქტორების თავიდან არიდება

სასწავლო უნივერსიტეტი მუდმივ რეჟიმში აწარმოებს გამოვლენილი დარღვევების ანალიზს და უზრუნველყოფს შემდგომი პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა/განხორციელებას. ამ მიზნით გამოიყენება არაერთი ღონისძიება.

მუხლი 9. შეუსაბამობის მართვა, მაკორექტირებელი და გამაფრთხილებელი ღონისძიებები

შეუსაბამობის მართვა მოიცავს:

- შეუსაბამობის გამოვლენას/იდენტიფიცირებას;
- შეუსაბამობის შეფასებას, მისი კვალიფიკაციის დადგენას;
- შეუსაბამობის რეგისტრაციას;
- შემდგომი ღონისძიებებისათვის გადაწყვეტილების მიღებას;
- განხორციელებული მაკორექტირებელი/პრევენციული ქმედების ეფექტურობის შეფასებას.

ყველა თანამშრომელი და სტუდენტი/პროფესიული სტუდენტი, რომელიც ეწევა საქმიანობას საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, პასუხისმგებელია შრომის უსაფრთხოების დადგენილი წესების დაცვაზე.

¹ დაშლად აღნიშნული თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, თუ სამუშაო ადგილზე მომხდარი უბედური შემთხვევა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომელთა წინასწარ გათვალისწინება შეუძლებელი იყო ან რომლებიც არ ექვემდებარებოდა დაშლად აღნიშნულის კონტროლს, ან ისეთი მოსალოდნელი გარემოებით, რომელთა თავიდან აცილება, დაშლად აღნიშნულის შესაბამისი ძალისხმევით მიუხედავად, ვერ მოხერხდა.

საქართველოს
საგარეო
საგანმედიო
სადაც
სადაც

დადგენილი შეუსაბამობის ანალიზის მიხედვით ინიშნება მაკორექტირებელი და გამაფრთხილებელი ღონისძიებები.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება შეუსაბამობის კვლევას, წარმოშობის მიზეზების დადგენას, აუცილებელი მაკორექტირებელი და გამაფრთხილებელი ღონისძიებების დანიშვნას, მათი ეფექტურობის შეფასებას, აუცილებლობის შემთხვევაში დაინტერესებული მხარეების ინფორმირებას განხორციელებული ღონისძიებების შესახებ.

მუხლი 10.ინციდენტის გამოძიება, შეუსაბამობა, მაკორექტირებელი და პრევენციული ქმედებები

სასწავლო უნივერსიტეტში პროცესების დადგენილ მოთხოვნებთან შეუსაბამობა, ან შეცდომები დგინდება:

- თანამშრომლების თვითკონტროლის საშუალებით;
- დადგენილი ანგარიშგების საშუალებით;
- მონიტორინგის შედეგად;
- მომხმარებლების რეკლამაციების საშუალებით.

მუხლი 11.ინციდენტების (უზედური შემთხვევების) გამოძიება

სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალს გაცნობიერებული აქვს საკუთარი როლი და ჩართულობა ინციდენტების და საფრთხის ეფექტური გამოძიების და კორექტირება-პრევენციის პროცესში.

ყოველმა გამოძიებამ უნდა გამოავლინოს ვინ? რა? სად? როდის? რატომ?

ინციდენტის გამოძიება მოიცავს ფაქტების, იდეების, ფიზიკური მტკიცებულებების და თანმხლები ინფორმაციის ობიექტურ შეფასებას, მაკორექტირებელ/პრევენციულ ღონისძიებებს შესაძლო მოხდენის ალბათობის და შედეგების გავლენის შემცირებისათვის.

ნებისმიერ ინციდენტის გამოძიებაში ჩართულია დასაქმებული, რომელიც შეესწრო ინციდენტის ფაქტს.

ინციდენტის გამოძიება მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

- ინფორმაციის შეგროვება;
- ანალიზი;

➤ საკონტროლო ღონისძიებების იდენტიფიცირება;

➤ გამოსასწორებელი ქმედებების დაგეგმვა.

ინციდენტების ეფექტური გამოძიებისთვის აუცილებელია შემდეგი ძირითადი ელემენტების გადახედვა:

➤ დავალებები - აქტუალური სამუშაო პროცედურის გადახედვა ინციდენტის დროისთვის;

➤ მასალები - შესაძლო მიზეზების დადგენის მიზნით გამოყენებული მასალების და დანადგარების შესახებ ინფორმაციის შეკრება;

➤ გარემო - ფიზიკური გარემოს და გარემოში ცვლილებების და შნიშვნელოვანი ფაქტორების იდენტიფიცირება;

➤ პერსონალი - ფიზიკური და მენტალური მდგომარეობის დადგენა მათი, ვინც პირდაპირ ჩართულია ამ ინციდენტში. ეს ადამიანების დასჯის გამო არ უნდა მოხდეს, არამედ საჭიროა პერსონალური თავისებურებების გათვალისწინება საწარმოო ტრავმების შესამცირებლად.

➤ მენეჯმენტი - აქვს, თუ არა მენეჯმენტს ოფიციალური პასუხისმგებლობა სამუშაო გარემოს უსაფრთხოებაზე. განსაზღვრულია, თუ არა მათი უფლება მოვალეობები ინციდენტების გამოძიების პროცესში.

ინციდენტების გამოძიება დოკუმენტირდება და მტკიცებულებები ინახება. შედეგები ეცნობება დაინტერესებულ მხარეებს.

მუხლი 12. მონიტორინგი და ანგარიშგება

გამოვლენილი საფრთხეებისა და რისკების პროფილაქტიკური ღონისძიებების ჯეროვანი განხორციელების შესაბამისობის დადგენის მიზნით სასწავლო უნივერსიტეტში წარმოებს პერიოდული მონიტორინგი. შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი სამსახური ვალდებულია ჩაატაროს შიდა ინსპექტირებები და შეამოწმოს, რამდენად სწორად მიმდინარეობს რისკის შემცირების მიზნით განხორციელებული აქტივობების პროცესი, ასევე აღნიშნული მონიტორინგი ხელს უწყობს ახალი საფრთხეების იდენტიფიცირებას, რაზეც წარმოებს შესაბამისი ანგარიშგება მმართველ რგოლთან. ინსპექტირების შედეგები ჩაინიშნება,

დამუშავდება და განიხილება მენეჯმენტთან ერთად, შემდგომი ნაბიჯების დაგეგმვა/განხორციელების მიზნით.

მუხლი 13. პირველადი დახმარება

პროაქტიულ ღონისძიებად განსაზღვრულია სამუშაო სივრცეში სამედიცინო დახმარების ყუთი.

მუხლი 14. დისციპლინური პოლიტიკა

შრომის უსაფრთხოება განუხორციელებადია გარკვეული ტიპის დისციპლინარული პოლიტიკის გატარების გარეშე. უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს შენარჩუნებისთვის აუცილებელია, ორგანიზაციის თანამშრომლების მიერ მოთხოვნების დაცვა.

დისციპლინარული პოლიტიკა გამოყენებული იქნება შრომისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევის ნებისმიერ შემთხვევაში.

შრომის უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევების გამოვლენისას, მათ შორის ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოუყენებლობაზე ამოქმედდება შემდეგი დისციპლინარული სასჯელი:

- პირველი დარღვევა-დამრღვევი გაფრთხილდება სიტყვიერად.
- მეორე დარღვევა-ფაქტი დაფიქსირდება წერილობითი ფორმით და აღნიშნული დოკუმენტის ასლი ჩაიკვრება დამრღვევის პირად საქმეში.
- მესამე დარღვევა-დარღვევის ხარისხიდან გამომდინარე (შრომის უსაფრთხოების წესების იგნორირება, რომელმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს ადამიანის ჯანმრთელობას, გამოიწვიოს ტექნიკის, ტექნოლოგიური აღჭურვილობის, ტვირთების დაზიანება) გამოიწვევს დამრღვევის დროებით უმუშევრობას ან სამუშაოდან განთავისუფლებას.
- ფიზიკური და იურიდიული პირი, რომელიც დაარღვევს შრომის უსაფრთხოების მოთხოვნებს, უფლებამოსილი პირის მიერ ჩამოერთმევა საშვი და დატოვებს უნივერსიტეტის ტერიტორიას.

უფლებამოსილ პირად ითვლება თანამშრომელი, რომელსაც ევალება სასწავლო უნივერსიტეტის ტერიტორიაზე შრომის უსაფრთხოების მოთხოვნის დაცვაზე კონტროლი.